

მშობელთა ჩართულობის გზით როგორ გავაუმჯობესოთ კლასის ერთობა

მარიამ ბიბილაშვილი

მედეა ზურაბაშვილი

თამთა ქუმსიაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის საგნის /საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი (ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის საგნის /საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის (ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი) სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სოფიკო ლობჯანიძე, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

1.2 განაცხადი

”როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”

თამთა ქუმსიაშვილი

მარიამ ბიბილაშვილი

მედეა ზურაბაშვილი

აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომი წარმოადგენს პრაქტიკული კვლევის ანგარიშს, რომელიც განხორციელდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის სტუდენტების მიერ, სსიპ ქალაქ თბილისის № 137 საჯარო სკოლაში.

კვლევა დაიწყო 2014 წლის ნოემბერში და დასრულდა 2015 წლის ივნისში. საკვლევი თემა „მშობელთა ჩართულობის გზით როგორ გავაუმჯობესოთ კლასის ერთობა“, შეირჩა აღნიშნული სკოლის დირექტორთან და სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ჯგუფთან გასაუბრების შედეგად. მათ მიერ გამოკვეთილი სკოლაში არსებული რამდენიმე პრობლემიდან, დისკუსიის შედეგად, საკვლევ პროექტად შეირჩა სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის ხელშეწყობა, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს სკოლის სამი მნიშვნელოვანი აქტორის - მასწავლებლის, მოსწავლის და მშობლის თანამშრომლობას. ეს კი არის საფუძველი კლასის ერთობისა და სკოლის სიძლიერისა.

კვლევაში ჩართულნი იყვნენ, ორი მეექვსე და ორი მეშვიდე კლასის მოსწავლეები, მათი მშობლები და დამრიგებლები, ასევე კვლევის კომისიის წევრი მასწავლებლები. შერჩეული საკითხის საკვლევად გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის მეთოდები, კერძოდ, ჩაღრმავებული ინტერვიუ და ფოკუს-ჯგუფი. მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ მართალია სამიზნე ჯგუფის წევრებს აუცილებლობად მიაჩნიათ მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში, თუმცა, კვლევაში ჩართულ თითქმის ყველა პირს არასწორად ესმის, როგორ უნდა მიიღოს მშობელმა მონაწილეობა სკოლის ცხოვრებაში, როგორ უნდა გაიზიაროს მან პასუხისმგებლობა, რა არის სასკოლო ცხოვრებაში მისი თანამონაწილეობის მიზანი და რა პოზიტიურ შედეგებს უნდა ველოდოთ მშობელთა ჩართულობით სწორად დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობებისგან. ამიტომ, სკოლაში ამ მიმართულებით შედეგის მომტანი პრაქტიკული ღონისძიებები არ განხორციელებულა. საკვლევ კომისიას და კვლევაში ჩართულ პირებს გავაცანით რა, შეგროვილი

მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით მიღებული შედეგები, მათთან შეთანხმებით დავეგემეთ ინტერვენციები.

პირველი ინტერვენცია, რომელიც განვახორციელეთ, იყო საქველმოქმედო აქცია. მისი მიზანი იყო, მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეების ერთობლივ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება, სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის განსხვავებული კუთხით ჩვენება, ასევე მოსწავლეებში ემპათიის უნარის განვითარების ხელშეწყობა.

მეორე ინტერვენცია იყო სადისკუსიო კლუბის ჩამოყალიბება, რომელშიც გავაერთიანეთ მასწავლებლები და მშობლები და რომლის ფარგლებშიც შედგა მათი შეხვედრა ფსიქოლოგთან, სადაც განვიხილეთ, თუ რა როლი აკისრია სწავლა-აღზრდის პროცესში მასწავლებელსა და მშობელს, მათ შორის თანამშრომლობას, ასევე ვისაუბრეთ მოზარდობის ხანის ასაკობრივ თავისებურებებზე. აღნიშნული ინტერვენციის მიზანი იყო, მშობელთა ინფორმირება მათი მზაობის გასაზრდელად, სკოლასა და მშობელს შორის თანამშრომლობითი კულტურის განვითარების ხელშეწყობა.

მესამე ინტერვენციის ფარგლებში, სადამრიგებლო საათზე, მასწავლებლებს, მე-7 კლასის მოსწავლეებსა და მათ მშობლებს ვაჩვენეთ ფილმი „ყუყუ“, რადგან მასში წარმოდგენილი საკითხები, უშუალო კავშირშია ჩვენს საკვლევ თემასთან. ფილმში კარგად ჩანს რამხელა ფუნქცია ენიჭება მასწავლებლისა და მშობლების თანამშრომლობას მოსწავლეთა ზნეობრივ ღირებულებათა ჩამოყალიბებაში.

რაც შეეხება მეოთხე ინტერვენციას, ჩავატარეთ ერთ მე-6 და ერთ მე-7 კლასში. ის შედგებოდა რამდენიმე სახალისო და საინტერესო აქტივობისაგან (როლური თამაში, სიტუაციის განხილვა, ანიმაციური ფილმი „ex-et-“, ის ჩვენება). შეხვედრის მიზანი იყო, მოსწავლეებისთვის გვეჩვენებინა, რომ აუცილებელია ერთმანეთის მოსმენა და თანამშრომლობა სასურველი შედეგის მისაღწევად. ასევე გვსურდა, ხელი შეგვეწყო მოსწავლეებში ტოლერანტობისა და ემპათიის უნარის განვითარებისთვის.

შემდგომ ეტაპზე შევაფასეთ ჩატარებული ინტერვენციები, რომლის ანალიზზე დაყრდნობითაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ მშობლებმა გადააფასეს რიგი საკითხები, გაიაზრეს, რომ პასუხისმგებლობის გაზიარება და მათი სასკოლო ცხოვრებაში ჩართვა

სარგებლის მომტანია, როგორც საკუთარი შვილებისათვის, ასევე, ზოგადად, სკოლისათვის. მასწავლებლებმა კი გააცნობიერეს, რომ, ხშირ შემთხვევაში, თავად უნდა იყვნენ მშობელთა გააქტიურების ინიციატორები, რაც მიიღწევა არა ერთჯერადი აქტივობებით, არამედ მათთან უშუალო და მუდმივი თანამშრომლობით, მრავალფეროვანი აქტივობების ინიცირების, დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების პროცესში მშობლებისა და მოსწავლეების მონაწილეობით.

ჩვენი კვლევის შედეგად სამიზნე ჯგუფის წევრები გაეცნენ თეორიულ მასალას საკვლევ საკითხთან დაკავშირებით. მათ აუმაღლდათ მოტივაცია და გაუჩნდათ თანამშრომლობისათვის მეტი მზაობა. კვლევაში მონაწილე პირებისაგან მიღებული უკუკავშირი და უკვე დაგეგმილი აქტივობები, რომელზეც ვრცლად ნაშრომის ძირითად ნაწილში ვსაუბრობთ, ადასტურებს კვლევის შედეგების მდგრადობას.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მასწავლებელი, მშობელი, მოსწავლე, მშობელთა ჩართულობა, კლასის ერთობა, სასკოლო ცხოვრება, გაზიარებული პასუხისმგებლობა, პრაქტიკული კვლევა.

A B S T R A C T

The given thesis represents the report of the practical research, which was realized by the science and arts faculty students of the Illia State University, at Tbilisi public school № 137. The study took start in November 2014 and was finished in June 2015. The subject of the study, “improving the unity by means of parent involvement” was selected as the result of the interviews with the director of the school and the school-based teachers’ professional development group. From several outlined problems of the school, after the discussion, “supporting the parent involvement within the school life” was selected as the research project, which in turn guarantees the collaboration of the three important actors of school – teacher, student and parent. This, in turn, is the basis for the class unity and school power.

Two groups of the sixth and seventh graders were involved within the study, together with their parents and mentors, as well as the teacher-members of the research commission. For studying the selected issue, we used the qualitative research methods, particularly – the in-depth interview and a focus-group.

After collecting and analyzing the data, it was outlined that although the target group parents consider the parent involvement within the school life necessary, almost all of our parent subjects don’t understand properly the forms of parent involvement within the school life; they have problems with understanding the responsibilities, the goals of their participation within the school life and what positive results to expect from their involvement within the properly planned and realized activities. Because of this, no practical efforts of this direction, which would bring some results, have been realized at school.

As we introduced the results gained from the analysis of the collected data to the research commission and the participants of the study, together with them we planned our interventions. The first intervention realized by us was the charity event. Its aim was including the teachers, parents and students in the joint event, showing the parent involvement within the school life from a different angle, as well as supporting the development of empathy skills in students.

The second intervention realized by us was establishing the discussion club, which included the teachers and parents; within the frames of this club, their meeting with a psychologist was

held, where we discussed the role of a teacher and a parent within the process of education, as well as their collaboration and the age peculiarities of adolescence age. The goal of the intervention mentioned above was informing the parents for increasing their readiness, and for supporting the development of the collaboration culture between the school and parents.

Within the frames of the third intervention, at the tutorial hour, we showed the teachers, 7th graders and their parents the film „чучело”, as far as the issues presented in it are directly related with the subject of our research. The film displays the huge importance of the collaboration of teachers and parents in formation of the moral values of the students.

As for the fourth intervention, we conducted it in one 6th grade and one 7th classes. It included several entertaining and interesting activities (role-play, discussing a situation, showing the animation film “ex-et”). The goal of the meeting was to show the students the importance of listening to each other and collaborating with each other for achieving the desired outcome. We also wanted to support the development of tolerance and empathy skills in students.

At the next stage, we assessed the realized interventions; relying on the analysis of these interventions, it can be said that the parents re-thought the number of issues, they understood that sharing responsibilities and being included within the school life is beneficial for their children, as well as for school in general. And the teachers realized that often they are the ones who have to initiate the activities of parents, which can't be achieved by one-time activities, but it requires the immediate and permanent cooperation with them; including the parents and students within the process of initiating, planning, realizing and assessing various activities.

After our study, the members of our target group were introduced to the theoretical materials about the subject of our research. Their motivation and readiness for cooperation increased. The feedback received from the participants of the study and the planned activities, which are discussed more broadly within the basic part of the thesis, confirms the stability of the results of the study.

Keywords: teacher, parent, student, parent involvement, class unity, school life, shared responsibility, practical research.

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესში გაწეული დახმარებისათვის, რეკომენდაციებისა და რჩევების მოცემისთვის, საინტერესო იდეების მოწოდებისათვის, მადლობას ვუხდით სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ქალბატონ, სოფიკო ლობჯანიძეს.

ნაშრომის სტრუქტურულად ჩამოყალიბებისა და სწორი მიმართულებით წარმართვაში დახმარებისათვის მადლობას ვუხდით, დოქტორანტ, მარიკა კირვალიძეს. ერთ-ერთი ინტერვენციის დაგეგმვასა და განხორციელებაში აქტიური მონაწილეობისთვის, მადლობას ვუხდით, ფსიქოლოგ, ანი პავლიაშვილს.

კვლევის მიმდინარეობის პროცესში გაწეული თანადგომისა და დახმარებისათვის, მადლობას ვუხდით სკოლის დირექტორს, მასწავლებლებს, ადმინისტრაციას, მე-6 და მე-7 კლასის მოსწავლეებსა და მათ მშობლებს.

და ბოლოს, მადლობას ვუხდით ერთმანეთს, სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესის მშვიდად და სასიამოვნოდ წარმართვისთვის, თანადგომისთვის, ურთიერთგაგებისთვის, ერთად განცდილი როგორც დამაბული, ისე დადებითი ემოციებით დატვირთული არაერთი დღისთვის.